



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გადაწყვეტილების 134/12¹ მიმოხილვა

ფაქტები:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორს გაფორმებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადვოკატთან, რომელსაც უნდა დაეცვა მისი მეუღლის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. გაფორმებული ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად: „ადვოკატი იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს კომერციული და ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გახდება მისთვის ცნობილი კლიენტის დოკუმენტაციიდან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 10 (ათი) წლის მანძილზე.“ საჩივრის ავტორის განცხადებით ეთიკის კომისიისათვის მომართვის საფუძველი გახდა ადვოკატის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.2. მუხლის შესაძლო დარღვევის საფუძველით.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.2. მუხლი, რომლის თანახმად, კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

კოლეგიამ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატის მიერ აღნიშნული პუნქტის მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას-კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. დაუშვებელია, ადვოკატმა საკუთარ თავს კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს შეეზღუდა უფლება - ადვოკატის მიერ მისი საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომა და მის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

¹ ეთიკის კომისიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე 134/12
<https://gba.ge/pdf/5c4c501888895.pdf/5c4c501888895.pdf>